ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 20 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 იანვრის N1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა
და პროგრამების მართვის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ქავთარაძე, ე. წურწუმია, კ. ლატარია, ი. გოგოლაძე)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 იანვრის N1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა
და პროგრამების მართვის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 იანვრის N1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის №1 განკარგულებით, საკრებულოს მიერ მოწონებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 2016 წლისთვის განსახორციელებელი სამუშაოების ნუსხა. მომზადებული წინადადებები გამგებლის მიერ წარედგინა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიაში წარსადგენად. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომლის თანადაფინანსება იგეგმება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ან რომლის განხორციელებაც დაწყებულია პროექტის წარდგენის წლის წინა წელს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გარკვეული თანადაფინანსების

განხორციელება, იმ პროექტებისთვის, რომლებიც 2016 წლისთვის არის გათვალისწინებული. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ქავთარაძე, ე. წურწუმია, კ. ლატარია, ი. გოგოლაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N2 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლევან ქავთარაძე
7. ნუგზარ შუშანია
8. ვასილ კუკავა
9. როსტევან გვარამია
10. ლაშა ცატავა
11. მერაბ ფილიპია
12. კახა ლატარია
13. ფრიდონ შონია
14. ლეონიდე ლოლუა
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. გიორგი ხურცილავა
20. მალხაზ ყურუა
21. კახა მიქაბერიძე
22. ბეჟან ქირია
23. იგორ გოგოლაძე
24. გენად ქაძანაია
25. გენად ზარანდია
26. ირაკლი ნადარაია
27. ედიშერ წურწუმია